გენდერული თანასწორობის კვლევა და ანალიზი: ტრენინგის და მცირე გრანტის მოპოვების შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

თუ თქვენ ხართ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი და გაინტერესებთ გენდერული სტატისტიკა, კვლევა და ანალიზი , მაშინ ეს ტრენინგი თქვენთვისაა.

CRRC- საქართველო, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) ერთად, 23-დან 27 აპრილის ჩათვლით მართავს 5 დღიან ტრენინგს საქართველოში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობენ.

ამ ინიციატივის მიზანია ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებას კვლევის და ანალიზის კუთხით და მისცეს მათ საშუალება იკვლიონ გენდერული თანასწორობის სვადასხვა ასპექტები.

ტრენინგი ჩატარდება ქართულ ენაზე.

ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

- გენდერული თანასწორობის და/ან ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს, როგორც თბილისიდან ისე რეგიონებიდან, ვისაც კვლევა და ანალიზი აინტერესებს.
- მათ, ვისაც შეუძლია 5 დღის განმავლობაშიე (23-27 აპრილი, 2025) სრულად დაესწროს ტრენინგს თბილისში ან თბილისის მახლობლად.
- უპირატესობა მიენიჭება ქალთა ორგანიზაციების და რეგიონებში მოქმედ მცირე ზომის ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

რას შეიძენ ტრანინგზე?

ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შემდეგის საკითხების შესახებ:

- გენდერული მონაცემი და სტატისტიკის მნიშნელობა;
- თუ როგორ დაგეგმო თვისებრივი და რაოდენობრი კვლევა;
- რაოდენობრივი კვლევის ჩატარება და ეტაპები;
- თვისებრივი კვლევის ჩატარება და ეტაპები;
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომბინაცია (შერეული მეთოდები) და მონაცემთა ანალიზი;
- გენდერულ მონაცემთა ინტერპრეტაცია და შედეგების წარმოდგენა.

რა იქნება შემდეგ?

1. თქვენი შერჩევის შემთხვევაში, ჩვენგან მიიღებთ მეილს აპრილის დასაწყისში.
2. დაესწრებით 5 დღიან ტრენინგს 23-27 აპრილის განმავლობაში.
3. ტრენინგის შემდეგ შესაძლებლობა გექნებათ განაცხადი შემოიტანოთ მცირე გრანტზე კვლევის ჩასატარებლად და ანალიტიკური პოლიტიკის ნარკვევის/ნაშრომის დასაწერად.

როგორ უნდა შემოიტანოთ განაცხადი ტრენინგზე დასასწრებად?

შეავსეთ შეავსეთ ეს განაცხადი **2025 წლის 16** მარტის ჩათვლით.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ინახება და გამოიყენება თქვენი პირადი მონაცემები, შეგიძიათ, იხილოთ აქ.

დამატებითი ინფორმაცია:

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იმ წარმომადგენლებს, ვისაც რეგიონებიდან თბილისში მოუწევთ ჩამოსვლა ტრენინგზე დასასწრებად, დაეფარებათ მგზავრობის და საცხოვრებელი ხარჯები. თბილისის მახლობლად ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში, მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯს ასევე დაფარავს CRRC-საქართველო.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ, მიმართოთ თამარ ხოშტარიას ელ. ფოსტაზე: tamuna@crrccenters.org

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

CRRC GEORGIA | CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

In support of UN WOMEN

WOMEN COUNT